

თანამედროვე მსოფლიოში არსებულ გლობალურ პრობლემათა შორის კვლავ პირველ ადგილზეა მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის საკითხი. ამ საქმეში მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებას წამყვანი ადგილი უკავია. აქ ერთ - ერთი წამყვანი დარგია მეძროხეობა, რომელიც მსოფლიოში მოსახლეობის მიერ მოხმარებული რძისა და რძის პროდუქტების 84 %-ს და ხორცის 25 %-ს იძლევა.

მეცხოველეობის განვითარებისათვის აუცილებელია მეცხოველეობის ფერმებისაშენების სწორი დაგეგმვა, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ, ფერმის აშენება უნდა მოხდეს დასახლებული პუნქტიდან სატრანსპორტო მაგისტრალიდან 300 მეტრის მოშორებით, ტერიტორია უნდა იყოს სწორი და არ უნდა იყოს გრუნტის წყლები, ასევე ორპირი ქარი, ფერმის აშენება რეკომენდირებულია ისეთ ადგილას სადაც ადრე მეფრინველეობის ან მეზოცვრეობის ფერმა ან ნაგავსაყრელი იყო. ფერმებს შორის მინიმალური სანიტარული ზონა განისაზღვრება 100 მეტრის დაშორებით, ხოლო საცავების კი 50 მეტრით.

ცხოველის ზრდა - განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორია მისი კვება, რომელიც აუცილებელია ჯანმრთელობისათვის, ზრდა - განვითარებისათვისა და პროდუქციის წარმოებისათვის.

პირუტყვის სრულფასოვანი კვების გარეშე ვერ მივაღწევთ მაღალ პროდუქტიულობას, რადგან ჯერ მსოფლიოში არ გამოუყვანიათ ჯიში, რომელიც ცუდი კვების პირობებში მაღალ პროდუქტიულობას (გამომაჟღავნებს) მოგვცემს.

ცხოველის პროდუქტიულობაზე და მის სამეურნეო ნიშან - თვისებებზე მიზანმიმართული ზემოქმედებისათვის აუცილებელია ვიცოდეთ:

1. კვების ნორმები
2. კვების ტიპი
3. ულუფის (რაციონის) განსაზღვრა
4. ცხოველთა კვების სწორი ორგანიზაცია
5. სრულფასოვანი კვების კონტროლი

პირუტყვის კვების სრულყოფისათვის საჭიროა მრავალფეროვან საკვებთან ერთადმისი მექანიკური დამუშავება ან გადამუშავება რათა ადვილი შესათვისებელი გახადოთ პირუტყვისათვის, რომელიც ხელს შეუწყობს მის ადვილად მონელებას, რომლითაც პირუტყვს დავიცვავთ ზედმეტი ენერჯის დახარჯვისაგან. ამით შესაძლებელია დაახლოებით პროდუქციის მიღება გავზარდოთ 25 - 30 %-ით.

## საკვები ულუფის საორიენტაციო სტრუქტურა ფურებისათვის

საკვების დასახელება	%
კონცენტრატი	15
თივა	10
ნამჯა და ჩალა	10
სენაჟი	10
სილოსი	15
მწვანე, მასა	20
საძოვარი	20

მეცხოველეობის განვითარების უმნიშვნელოვანესი პირობაა ჯიშის პირუტყვის ყოლა, დღეისათვის ევროპის და აზიის მთელ რიგ ქვეყნებში მიმდინარეობს ჯერსული ჯიშის საქონლის მოშენება, რადგან კულტურულ სარძეო ჯიშებს შორის ერთ-ერთი ყველაზე პატარა ტანისაა. ფურების ცოცხალი მასა 360-450კგ-ია კუროების 650-850კგ. ახალშობილი ხბოს 20-25 კგ. დაგრილება 1 წლის ასაკში ხდება. რძე გამოირჩევა მაღალი ცხიმისაობით 5,5-6,0%-მდე ცილა 3,9%. გამოირჩევა საშუალო მონაწველი 4500-5000 კგ-მდე.

ზემოთ აღნიშნული ღონისძიებების განხორციელება უნდა მოხდეს ჯანმრთელ პირუტყვზე, ამისათვის საჭიროა არ დაგავიწყდეთ ვეტ - პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარება ვეტერინარების მითითებით.

კონსულტანტები / საკონტაქტო ნომრები:

ლეონტი ჩიქოვანი - 599 74 37 43

შალვა ანანიძე - 599 89 89 61

მალვინა კილაძე - 599 89 89 60